



## გაფრთხილება ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით: საქართველოში დამზადებულ საწვებლებს შეიძლება ჰქონდეს ტყვიის გარკვეულწილად მაღალი შემცველობა

ქალაქ ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტმა დაადგინა, რომ საქართველოში დამზადებულ ზოგიერთ საწვებლებს აქვს ტყვიის მაღალი შემცველობა. აღნიშნული საწვებლები მოიცავს:

- ყვითელი ყვავილი ან ზაფრანა
- სვანური მარილი
- ხმელი სუნელი ან ხარჩოს სუნელი
- მწარე წიწაკა, დაფქვილი ჩილი, წიწაკა, დაფქვილი კერი, კოჭა, ქინძი და კვლიავი
- ქართული მარილი ან სვანური მარილი
- უცხო სუნელი ან შამბალა
- მშრალი აჯიკა
- საცივის სუნელი

ტყვიის მაღალი შემცველობის საწვებლებით მომზადებული საკვების მიღებამ შესაძლოა გამოიწვიოს ჯანმრთელობის პრობლემები. ზოგიერთი საკვები შეიძლება შეიცავდეს ტყვიას, მაგრამ ის არ იყოს დასახელებული, როგორც ინგრედიენტი. სავარაუდოა, რომ საქართველოში ნაყიდ ან იქიდან ჩამოტანილ საწვებლებს ექნება ტყვიის იმაზე მაღალი შემცველობა, ვიდრე აშშ-ს მაღაზიებში ნაყიდ საწვებლებს.

ბავშვები ყველაზე დიდი რისკის ქვეშ არიან. ტყვიამ შეიძლება წარმოქმნას სწავლასთან და ქცევასთან დაკავშირებული პრობლემები. მან შეიძლება გაზარდოს სისხლის მაღალი წნევის, ღვიძლის დაავადების რისკი, დააზიანოს ნერვული სისტემა და წარმოშვას რეპროდუქციული პრობლემები მოზრდილებში. ორსულობის დროს ტყვიამ შეიძლება გავლენა იქონიოს დედისა და ჩვილის ჯანმრთელობაზე. რაც უფრო მეტია ტყვიის შემცველი პროდუქტის მიღების მაჩვენებელი, მით უფრო მაღალია ჯანმრთელობის პრობლემების გაჩენის რისკი.

ტყვიით მოწამლული მოზრდილებისა და ბავშვების უმეტესობა არც ავად გამოიყურება და არც ცუდად გრძნობს თავს. მხოლოდ სისხლის ანალიზით შეიძლება იმის დადგენა, ადამიანი მოწამლულია თუ არა ტყვიით. თუ თქვენ შეიძინეთ ან მიიღეთ საწვებლები საქართველოდან, სთხოვეთ თქვენს ექიმს ჩაგიტაროთ სისხლის ანალიზი ტყვიაზე. თუ არ გყავთ ექიმი, დახმარების მისაღებად დარეკეთ 311-ზე.

**ნუ გამოიყენებთ ტყვიის მაღალი შემცველობის პროდუქტებს.**  
**ტყვიით მოწამლვის პრევენციის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ვებ-გვერდს:**  
**[nyc.gov/lead](http://nyc.gov/lead).**